საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება № MOH 4 23 00000018

ქ. თბილისი 16/01/2023 წელი

„COVID-19–ის საეჭვო და დადასტურებულ შემთხვევათა ბინაზე მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 12 ნოემბრის N01-549/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „COVID-19–ის საეჭვო და დადასტურებულ შემთხვევათა ბინაზე მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 12 ნოემბრის N01-549/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე და 75-ე მუხლებისა და ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სეზონური გრიპისა და COVID-19–ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით,“;

ბ) ბრძანებით დამტკიცებული N1 („COVID-19–ის დადასტურებული შემთხვევების ბინაზე მართვის ინსტრუქცია“), N2 („COVID-19–ის საეჭვო შემთხვევების ბინაზე მართვის ინსტრუქცია“) და N3 („სასწრაფო გადაუდებელი შემთხვევების მართვის ინსტრუქცია“) დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად